

შპს პერი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს პერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო

საწარმოებისათვის“-ის მიხედვით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პერი“-ს („ორგანიზაცია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაცემად 2022 წლის 25 სექტემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

შპს „შპს პერი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში, შესაბამისად კომპანია მოქცეულია საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის გავლენის ქვეშ, რომელიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის ნიშნებით. საგადასახადო, იურიდიული საკანონმდებლო ნორმატიული აქტები აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოები განიცდიან რეფორმებს და ხშირ ცვლილებებს რაც დამატებით გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შესახებ. სამომავლოდ შეიძლება ბიზნეს გარემო განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „პერი“ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო კოდი 205080712

რეგისტრაციის თარიღი - 08/07/2005.

რეგისტრაციის ნომერი - 06/5/ზ-471;

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვ.კორპ. №5, ბ. 49;

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 100;

კომპანიის დამფუძნებელი - ლაშა იორდანიშვილი /01012002881/ - 100%;

დირექტორი - ლაშა იორდანიშვილი /01012002881/;

შპს „პერი“-ს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებულია საკუთარი ქონების იჯარასთან, კერძოდ კი ეს არის მიწის, საოფისე ფართისა და სატრანსპორტო საშუალებების იჯარა.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობა

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისთვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილ აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის თარიღისთვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ყველა ასეთი მნიშვნელოვანი შეფასება განხილული იქნება ქვემოთ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ა) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მე-11 და მე-12 განყოფილებების მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის გამოიყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალდებულო ინსტრუმენტები, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით
- სესხის მიღების ვალდებულება ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების თანხის გამოკლებით.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. გადაფასების მოდელი გამოყენებული არ არის.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდეგ ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილ პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მისაწოდებლად. ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი

პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

„კომპანიას“ სააღრიცხვო მიზნებისთვის გამოჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(გ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(დ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საწარმო მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებულ ამონაგებს აღიარებს ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით სანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ავალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში არსებული ვალუტით რომელშიც ოპერირებს კომპანია - ქართულ ლარში.

შპს პერი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბალანსის უწყისი - შპს პერი

აქტივები	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	62 961,71	23547,54	68995,00
დებიტორული დავალიანება	428 911,05	334466,70	525768,00
წინასწარ გაწეული ხარჯები	33684	36935,00	33644,21
სხვა მოკლევადიანი აქტივი	0	69204,00	69204,33
მთლიანი მიმდინარე აქტივები	525 556,76	464153,24	697611,54
ძირითადი საშუალებები:			
სატრანსპორტო საშუალებები	890401	403189,00	419617,00
შენობა-ნაგებობები	35912,19	195683,24	197683,24
მიწა	52155,36	52155,36	51099,86
მთლიანი ძირითადი საშუალებები	978468,55	651027,60	668400,10
მთლიანი აქტივები	1 504 025,31	1 115 180,84	1 366 011,64
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები:			
კრედიტორული დავალიანება	10075,03	16403,12	5458,57
დარიცხული გადასახადები	125290,25	186257,09	201942,77
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	101662,03	1611,00	1611,00
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	237027,31	204271,21	209012,34
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხი	0,00	0,00	107000,00
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	0,00	0,00	107000,00
მთლიანი ვალდებულებები	237027,31	204271,21	316012,34
კაპიტალი:			
კაპიტალი და რეზერვები	0,00	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგება	1266998,00	910909,63	1049999,30
მთლიანი კაპიტალი	1266998	910909,63	1049999,3
მთლიანი ვალდ. და კაპიტალი	1504025,31	1115180,84	1366011,64

დირექტორი:

ლაშა იორდანიშვილი



25.09.2022

შპს პერი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს პერი - მოგება/ზარალის უწყისი

შემოსავლები:	2021 წელი	2020 წელი
მიწის იჯარიდან	2400,00	803,72
ოფისის იჯარიდან	136200,00	115423,73
ტექნიკის იჯარიდან	725010,00	586186,44
ტექნიკის გაყიდვიდან	31197,00	
სულ შემოსავლები	894807,00	702413,89
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	0,00	0,00
შესყიდვების ხარჯები	0,00	0,00
მარაგები პერიოდის ბოლოს	0,00	0,00
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	0,00	0,00
საერთო მოგება	894807,00	702413,89

საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	200544,83	171542,12
ტექნიკის მოვლა-შენახვა	78223,28	100361,60
დაზღვევა	13571,70	0,00
საგადასახადო ხარჯი	35742,16	61735,73
სხვა ხარჯი	62561,66	36671,00
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	390643,63	370310,45
საოპერაციო მოგება	504163,37	332103,44
ცვეთა და ამორტიზაცია	-102843,34	-18426,37
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-5232,00	0,00

პერიოდის მოგება (ზარალი)	396088,03	313677,07
---------------------------------	------------------	------------------

დირექტორი:
ლამა იორდანიშვილი



25.09.2022

შპს პერი
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბალანსის უწყისი - შპს პერი				
აქტივები		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
მიმდინარე აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები		62 961,71	23547,54	68995,00
დებიტორული დავალიანება		428 911,05	334466,70	525768,00
წინასწარ გაწეული ხარჯები		33684	36935,00	33644,21
სხვა მოკლევადიანი აქტივი		0	69204,00	69204,33
მთლიანი მიმდინარე აქტივები		525 556,76	464153,24	697611,54
ძირითადი საშუალებები:				
სატრანსპორტო საშუალებები		890401	403189,00	419617,00
შენობა-ნაგებობები		35912,19	195683,24	197683,24
მიწა		52155,36	52155,36	51099,86
მთლიანი ძირითადი საშუალებები		978468,55	651027,60	668400,10
მთლიანი აქტივები		1 504 025,31	1 115 180,84	1 366 011,64
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები:				
კრედიტორული დავალიანება		10075,03	16403,12	5458,57
დარიცხული გადასახადები		125290,25	186257,09	201942,77
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		101662,03	1611,00	1611,00
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები		237027,31	204271,21	209012,34
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხი		0,00	0,00	107000,00
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		0,00	0,00	107000,00
მთლიანი ვალდებულებები		237027,31	204271,21	316012,34
კაპიტალი:				
კაპიტალი და რეზერვები		0,00	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგება		1266998,00	910909,63	1049999,30
მთლიანი კაპიტალი		1266998	910909,63	1049999,3
მთლიანი ვალდ. და კაპიტალი		1504025,31	1115180,84	1366011,64

შპს პერი
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს პერი - მოგება/ზარალის უწყისი		
შემოსავლები:	2021 წელი	2020 წელი
მიწის იჯარა	2400,00	803,72
ოფისის იჯარა	136200,00	586186,44
ტექნიკის იჯარა	725010,00	115423,73
ტექნიკის რეალიზაცია	31197,00	
სულ შემოსავლები	894807,00	702413,89
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:		
მარაგები პერიოდის დასაწყისში	0,00	0,00
შესყიდვების ხარჯები	0,00	0,00
მარაგები პერიოდის ბოლოს	0,00	0,00
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	0,00	0,00
საერთო მოგება	894807,00	702413,89
საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	200544,83	171542,12
ტექნიკის მოვლა-შენახვა	78223,28	100361,60
დაზღვევა	13571,70	0,00
საგადასახადო ხარჯი	35742,16	61735,73
სხვა ხარჯი	62561,66	36671,00
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	390643,63	370310,45
საოპერაციო მოგება	504163,37	332103,44
ცვეთა და ამორტიზაცია	-102843,34	-18426,37
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-5232,00	0,00
პერიოდის მოგება (ზარალი)	396088,03	313677,07

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები

ორგანიზაციის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება მხოლოდ საბანკო ანგარიშზე პერიოდის ბოლოს არსებული ფულადი ნაშთისაგან, რაც 62961,71 ლარს შეადგენს.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები მთლიანად დაკავშირებულია მიმდინარე საიჯარო მოთხოვნებთან. საანგარიშო პერიოდის ბოლოს დავალიანება შეადგენს 428911,05 ლარს

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

ამ მუხლში გაერთიანებულია წინასწარ გადახდილი თანხები მომწოდებლებზე, მუხლი ასევე მოიცავს სხვა წინასწარ დაფარულ ვალდებულებებს, რაც ჯამში შეადგენს 33684 ლარს.

მარაგები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციას სასაქონლო ან სხვა ტიპის მარაგები არ გააჩნია

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების უდიდესი წილი მოდის სატრანსპორტო საშუალებებზე. კომპანიის ბალანსზე ასევე ირიცხება უძრავი ქონება და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე ირიცხება 890401 ლარის ღირებულების ტექნიკა, 88067,55 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა და სამიათას კვადრატამდე მიწის ნაკვეთი.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიას გააჩნია 10075,03 ლარის სავაჭრო ვალდებულება.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს დღგ-ს, მოგებასა და გადასახდელ საშემოსავლო გადასახადს. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიის ვალდებულებები ამ მუხლით შეადგენს 125290,25 ლარს.

გამოუმუშავებელი შემოსავალი

ეს მუხლი შედგება ძირითადად მიღებული ავანსებისგან, ამ მუხლით ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდში ვალდებულება არ გააჩნია.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალის ძირითადი ნაწილი არის დაგროვილი მოგება. დაგროვილი მოგება წარმოქმნილია წინა და მიმდინარე პერიოდებში მიღებული მოგებისაგან. კომპანია მოგების გადასახადით ბეგრავს ისეთ ხარჯებს, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და შესაბამისად ამცირებს გასანაწილებელ მოგებას.

ამონაგები

ამონაგები შედგება საიჯარო შემოსავლებისაგან, კერძოდ: მიწის იჯარით მიღებულია შემოსავალი 2400 ლარი, იფისის იჯარიდან 136200 ლარი, ტექნიკის იჯარიდან 725010 ლარი.

ორგანიზაციამ საანგარიშგებო პერიოდში 31197 ლარი შემოსავალი მიიღო ასევე ტექნიკის რეალიზაციით.

ხარჯები

შპს „პერი“-ს ძირითადი ხარჯები უკავშირდება პარსონალის შრომის ანაზღაურებას, რაც შეადგენს 200544,83 ლარს და ბალანსზე არსებული ტექნიკის მოვლა-შენახვას - ღირებულებით 78223,28 ლარი.

ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ასევე საგადასახადო ხარჯი - 35742,18 ლარი, რომელიც სრულად წარმოადგენს ქონების გადასახადს;

სხვა ხარჯების მუხლით 3135,59 ლარი გაწეულია პროფესიულ მომსახურებებზე, როგორიც არის აუდიტი და აზომვითი ნახაზების მომზადება;

13871,7 ლარი შეადგენს სადაზღვევო მომსახურების ხარჯს;

ხარჯად აღიარებულია 5232 ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვა იურიდიული პირისაგან მოკლე ვადით გამოყენებულ სესხზე დარიცხულ და გადახდილ სარგებელს;

წარმოდგენილ საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ ასევე გაწეულია სამეურნეო და ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯი;